პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 ივლისი სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 164 (14160)

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვარდოშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. მეზვრიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. მესტვირიშვილმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მეაბრეშუმეებმა 10 ივლისისათვის 108 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჟბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმა. დამზადებულია 64.400 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 58.500 კილოგრამისა.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ვერულაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. სამხარაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ს. გორდეზიანმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს: რაიონის მეაბრეშუმეებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის მესამე წლის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 5-ე ცენტნერი [illegible] ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.050 ცენტნერისა. ადრეული ადრე გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲕᲠᲪᲔᲚᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის რაიონის მეაბრეშუმეებმა პირველი ივლისისათვის სახელმწიფოს მიაყიდეს 18.007 კილოგრამი პარკი და წლიური გეგმა 100,3 პროცენტით გაანაღდეს.

გეგმის შესრულებაში თავი გამოიჩინეს ახალსოფლის, თხილნარის, სარფის, გონიოს, მახოს, ერკეს და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ᲡᲬᲠᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

მასწავლებელი — ახალგაზრდობის მეგობარი და დამრიგებელი, — ასეთი იდგა და როლი მიუჩინა ცხოვრებამ საბჭოთა მასწავლებელს — იყოს ახალგაზრდობის მეგობარი და დამრიგებელი. ხალხმა მას მეორე მშობელიც კი უწოდა. და ეს წოდება ცხოვრებით არის გამართლებული. რაკი ყოველივე ეს მასწავლებლობის ბედნიერი ხვედრია, საკმაოდ გასაგებიც არის, რომ მას პარტია თავის თანაშემწედ და დასაყრდენად თვლის ისეთ დიდ საქმეში, როგორიც მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით და ცხოვრებისათვის გამოსადეგ თაობად აღზრდაა.

ის, რომ მასწავლებელთა ჯერ მოკავშირე რესპუბლიკებს, შემდეგ კი საკავშირო ყრილობები გაიმართა, — ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებს ლენინური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს შეუნელებელ ზრუნვას სახალხო განათლებისათვის, კომუნიზმის მშენებელი მომავალი თაობის აღზრდისათვის. ის, რაზეც მასწავლებელთა ამ ფორუმებზე ლაპარაკი იყო, გამომდინარეობს პარტიის XXIII ისტორიული ყრილობის მიერ საბჭოთა სკოლის წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლიდან.

ეს ამოცანები ძირითადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: სკოლამ უზრუნველყოს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, მთლიანად გამოიყენოს სოციალისტური საზოგადოების შესაძლებლობანი საბჭოთა ადამიანის, კომუნიზმის შენებელი მშენებლის პიროვნების ყოველმხრივი განათლებისა და ჰარმონიული განვითარებისათვის. სკოლა ამ რთულ ამოცანებს ვერ განახორციელებს, თუ მას არ დაეხმარება და ჯეროვან ხელმძღვანელობას არ გაუწევს პარტიული ორგანიზაცია.

ცხოვრებით ნაკარნახევია ბრძნული მითითება პარტიისა და მთავრობისა იმის შესახებ, რომ: „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ, ᲛᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.“

მასწავლებელთა დიდმა საკავშირო ფორუმმა სახალხო განათლების მუშაკთა მრავალმილიონანი არმიის სახელით დიდი მადლობა უძღვნა პარტიასა და მთავრობას სკოლაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის, მასწავლებლისადმი მუდმივი უურადღებისა და დახმარებისათვის, მისი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებრიობისათვის, ყველა მშრომელისათვის საამაყოა, რომ იმათ შორის, ვისაც ბედნიერება ხვდა სოციალისტური შრომის გმირის სამაღალო წოდება მინიჭებოდა და ლენინის ორდენითა და მედლით „ნამგალი და ურო“, დაჯილდებულიყო, — ჩვენი რესპუბლიკის ორი მასწავლებელიც არის — ნადეჟდა ვასილის ასული გელდიაშვილი, გორის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელი და ნიკოლოზ სიმონის-ძე ჯაფარიძე, თბილისის 28-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მათი გამოცდილება, საუკეთესოთა გამოცდილება მთელი ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებრიობის კუთვნილება უნდა გახდეს, მათს მაგალითზე უნდა ვზარდოთ ახალგაზრდა პედაგოგთა არმია!

ყრილობა დამთავრდა. მისი მონაწილენი დაუბრუნდნენ თავიანთ სამოქმედო უბნებს. დაბრუნდა საქართველოს დელეგაციაც. პროგრამა ნათელია, ამოცანები — ცხადი, მათი განხორციელების გზები — დასახული. სიტყვა ეძლევა საქმეს. ამ საქმეთა შორის ახლა ერთ-ერთი უპირველესი როლი ეკუთვნის იმას, რომ მთავლწიოთ ძირითადად მომდინარე ხუთწლედში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებას, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას.

სასახარულოა ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე წელს რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული ყოველი 100 მოსწავლიდან მომდევნო საფეხურზე სწავლას განაგრძობს 97. ეს საუკეთესო პირობაა იმისათვის, რომ ძირითადად 1970 წლისათვის დავამთავროთ საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება. წინა წლებთან შედარებით რამდენადმე ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. ყოველივე ამას ხელი შეუწყო ბრძოლამ იმისათვის, რომ განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის ნოემბრის დადგენილება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

მასწავლებლისადმი დახმარებასა და მისთვის მუშაობაში ხელის შეწყობაზე რომ ვლაპარაკობთ, კარგი სასკოლო შენობის აგებასაც ვგულისხმობთ, კარგი კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობასაც, მეთოდური ლიტერატურის დროზე და მაღალხარისხოვნად გამოცემასაც, სასკოლო ასაკის ბავშვთა დროულ აღრიცხვასაც, სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის ფაქტების აღკვეთასაც, მოსწავლეთა დროული და უსაფრთხო გადაყვან-გადმოყვანის მოგვარებასაც, მშობლთა კომიტეტების მუშაობის დონის ამაღლებასაც...

მასწავლებლებისადმი დახმარების თვალსაზრისით ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს, გამომცემლობებს... კარგი პროგრამები, სრულფასოვანი სახელმძღვანელოები, კარგად აღჭურვილი სკოლები რომ ექნებათ, მასწავლებლების მუშაობაც უკეთეს ნაყოფს გამოიღებს. მაგრამ, ცხადია, ყოველივე ფუჭია ისეთი მასწავლებლის ხელში, რომელიც არც მოწოდებულია ამ პროფესიისათვის და არც სურს აიმაღლოს მომზადების დონე, არ უყვარს საქმე. სკოლების მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით დროზე დაკომპლექტებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი სასწავლო მუშაობისათვის.

მასწავლებელი მუდამ ახლის მაძიებელი, შემოქმედი უნდა იყოს ნორჩი თაობის აღზრდაში. მასწავლებელთა უდიდესი ამაგია, სულ ახლახან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი არმია რომ შეუერთდა ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს კოლმეურნე გლეხობას და სკოლაშივე მიღებული პროფესიონალური ცოდნა-ჩვევებით შეუდგა ან შეუდგება შრომას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. საგრძნობი ნაწილი ამ კურსდამთავრებულებისა, კონკურსში რომ გაიმარჯვებს, განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში, შეუდგება სპეციალობის დაუფლებას, რომ უკეთ გამოადგეს სამშობლოს, თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ჩვენი საშუალო სკოლა ყველა საბჭოთა ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლის აღზრდის საფუძველია. ამის ღრმა შეგნებით უნდა მუშაობდეს თვითეული მასწავლებელი, იმის ღრმა შეგნებით მუშაობდეს, რომ სკოლამ არა მარტო საფუძველი უნდა ჩაუყაროს ცოდნას, რომელიც ადამიანს დასჭირდება ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე ღრმა გავლენა მოახდინოს ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე, ისეთი თვისებების გამომუშავებაზე, რომლებიც უნდა ახასიათებდეს კომუნისტური საზოგადოების მოქალაქეს. სკოლა იდეურად უნდა ზრდიდეს ახალგაზრდას.

ეი როგორი სკოლის მთავარი ფიგურაა დღეს ჩვენი მასწავლებელი — აღზრდის მთავარი ფიგურა. ამიტომაც იგი ახლებურად უნდა მუშაობდეს, თეორიულად მომზადებული იყოს, პედაგოგიურ ოსტატობას იმაღლებდეს.

სწორედ ეს გახდის მას ახალგაზრდობის მეგობრად და დამრიგებლად. და მისი შრომის ნაყოფს უხვად მოიმკის ხალხი, სამშობლო.

ᲐᲮᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲗᲕᲔᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲛᲗᲚᲘᲡ ᲔᲡ ᲓᲠᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲯᲓᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ა. Ა. ᲒᲠᲔᲩᲙᲝ ᲐᲚᲟᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო** მოსკოვიდან ალჟირში წავიდა. იგი ალჟირში გაემგზავრა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ეროვნული თავდაცვის მინისტრის **ჰუარი ბუმედიენის** მიწვევით. (საკდესი).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 14 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტომ გადასცა შემდეგი ცნობა:

სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრაში მონაწილეობისათვის 14 ივლისს ვარშავაში ჩამოვიდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩამოვიდა შაბათს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტოდორ ჟივკოვი,** ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **სტანკო ტოდოროვი,** ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბორის ველჩევი** და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **პენჩო კუბადინსკი.**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ვალტერ ულბრიხტი,** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვილი შტოფი,** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გერმან აქსენი.**

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **იანოშ კადარი,** უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე **ენე ფოკი.**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვლადისლავ გომულკა,** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **მარიან სპიხალსკი,** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზეფ ცირანკევიჩი,** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზენონ კლიშკო.**

შეხვედრა დაიწყო კვირას ადრე დილით.

ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲐᲓ ᲐᲕᲘᲗᲕᲘᲡᲝᲗ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲜᲘ

ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲚᲦᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲜᲘ ᲘᲬᲕᲜᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲐᲛ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის იმ ინიციატივის გამო, რომ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შავი მეტალურგიის საწარმოების მოქმედი და ახლად ასამუშავებელი აგრეგატების საპროექტო სიმძლავრეთა უსწრაფესად ათვისებისათვის.

ციმბირელ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს ჩვენი რესპუბლიკის უმსხვილესმა საწარმოებმა, რომელთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, გაითვალისწინეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, საწარმოთა საერთო კრებებზე იკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ ვალდებულებათა ტექსტებს:

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲔᲜ

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი გულდასმით გაეცნო დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხის ინიციატივას შავი მეტალურგიის საწარმოო სიმძლავრეთა უსწრაფესი ათვისებისათვის შეჯიბრების გაშლის თაობაზე. ზესტაფონელი მეტალურგები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უმერენ მხარს ამ საუცხოო თაოსნობას. ქარხნის კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულებანი:

1. საღნობი ღუმელების საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებით, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან თანამეგობრობით, ავტომატიზაციი-მექანიზაციის დანერგვით, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფით, ღუმელების მოცდენის შემცირებით ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს 1970 წლის 7 ნოემბრისათვის.

2. პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებს გეგმასთან შედარებით ნახევარი პროცენტით, დაზოგავს 20 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას. შრომის ნაყოფიერებას გაადიდებს 0,7 პროცენტით.

3. მეოთხე საამქროს დახურული ღუმელების წარმადობას 1965 წელთან შედარებით 53 პროცენტით გაზრდის, ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის ამ მაჩვენებელს 60 პროცენტამდე აიყვანს.

4. მესამე საამქროში პროდუქციოული მადნების ნაცვლად წყლს გამოიყენებს მარგანეცის ღარიბ მადანს, რითაც გაუმჯობესდება შრომის პირობები, თვითღირებულება ყოველწლიურად შემცირდება რამდენიმე ათასი მანეთით და, რაც მთავარია, ნაწილობრივ გადაწყდება ჭიათურის ღარიბი მადნების მეტალურგიაში გამოყენების პრობლემა.

5. შრომის მეცნიერული ორგანიზაციითა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით დაზოგავს სულ მცირე 3,5 მილიონ მანეთს.

ზესტაფონელი მეტალურგები გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და ღირსეულად შეხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.



ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ — ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲗ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შავი მეტალურგიის მაღალი ტემპებით განვითარებისათვის, 1966-1967 წლებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. საპროექტო სიმძლავრეები ბრძმედის ღუმელებზე ათვისებულია 119 პროცენტით, მარტენის ღუმელებზე — 117 პროცენტით, საგლინავ საამქროში დგან „1000“-ზე — 120 პროცენტით, მილსაგლინავ აგრეგატზე — 103 პროცენტით. ათვისებულია საპროექტო სიმძლავრე აგრეთვე ფეროცელსაგლინავ აგრეგატ „2.100“-ზე.

ჩვენ, რუსთაველი მეტალურგები, დიდი ინტერესით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 5 ივნისის დადგენილებას დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის ახალი ინიციატივის შესახებ — გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება მოქმედი და ახალი აგრეგატების საპროექტო სიმძლავრეთა უსწრაფესად ათვისებისათვის, ვითვალისწინებთ ამ შეძენილ გამოცდილებას, მხურვალედ ვუჭერთ მხარს შეჯიბრების ინიციატორებს და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გზით ვკისრულობთ გადავაჭარბოთ საპროექტო სიმძლავრეს.

თუჯის დარგში — 32 პროცენტით, ფოლადის დარგში — 28 პროცენტით, მზა ნაგლინის დარგში — 10 პროცენტით, მილების დარგში — 8 პროცენტით, რისთვისაც

1. ავაშენოთ და ავამუშაოთ ახალი საბრძმე ეზო და მარტენის საამქროს მეორე მოქმედი.

2. ავითვისოთ და ავამუშაოთ დამატებითი საწმენდი გალები და დავამთავროთ დგან „900/750“-ის მილდამზადების მოსაპირკეთებელი ნაწილის რეკონსტრუქცია, რის საფუძველზეც 1968 წლის დამლევისათვის ავითვისოთ აგრეგატის საპროექტო სიმძლავრე.

3. დავამთავროთ აგრეგატ „140“-ის კომპლექსური მექანიზაცია.

4. ავითვისოთ ნავთობისა და ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო მილების თერმოდიფუზიული წესით ანტიკოროზიული ლითონდაფარვის საამქროს საპროექტო სიმძლავრე.

ამავე დროს კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს ღონისძიებანი ქარხნის შემდგომი განვითარებისათვის, სახელდობრ:

1. გააჩაღოს მშენებლობა ახალი საგლინავიო ფაბრიკისა, რომელიც საჭიროა ბრძმედების მუშაობის უზრუნველყოფისათვის 100-პროცენტიან დაფლუსულ აგლომერატზე, რაც მოგვცემს თუჯის გამოდნობის მატებას 125 პროცენტით.

2. გააჩაღოს მშენებლობა ეანგბადის ხადგურისა, რომელიც საჭიროა მეტალურგიული პროცესების ეანგბადით ინტენსიფიკაციისათვის იმ მიზნით, რომ თუჯისა და ფოლადის გამოდნობა გადიდდეს 25 პროცენტით.

3. განახორციელოს ფოლადის განუწყვეტელი ჩამოსხმის აგრეგატის რეკონსტრუქცია მილის ნამზადისათვის სხმული ბლუმების საწარმოებლად.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია საამქროების კოლექტივების მუშათა კრებებზე და ქარხნის მშრომელთა წარმომადგენლების საერთო კრებაზე.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ერთი კუთხე. ამ საამქროს კოლექტივმა იკისრა საპროექტო საწარმოო სიმძლავრეს 8 პროცენტით გადაჭარბოს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ

რომ ვიმეგობროთ, უკეთ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს. ეს აზრი ლეტმოტივად გასდევდა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დოქტორ ზაქირ ჰუსეინის ყველა შეხვედრას საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან.

კვირას დოქტორი ზაქირ ჰუსეინი და მისი თანამგზავრები კვლავ ეცნობოდნენ რესპუბლიკას. დილით ისინი გაემგზავრნენ მცხეთაში. ქალაქში რომ შედიოდნენ, მათ მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ხ. კავთიაშვილი.

დოქტორმა ზაქირ ჰუსეინმა და სხვა ინდოელმა სტუმრებმა დათვალიერეს სვეტიცხოველი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ი. ამირანაშვილმა მათ აცნობა, რომ ეს არის წარსულის ერთ-ერთი ძეგლი იმ ხუთი ათასი ძეგლიდან, რომლებიც დღემდე შემორჩა საქართველოს ტერიტორიას. პრეზიდენტმა ინტერესით დაათვალიერა საქართველოს შუა საუკუნეების დიდებული ძეგლი. მან აღნიშნა, რომ ორნამენტი, ფრესკები, რომლებიც ამშვენებენ სვეტიცხოველს, უნიკალურია.

დოქტორი ზაქირ ჰუსეინი ესტუმრა 94 წლის მეგობარ-დეკორატორს მიხეილ მამულაშვილს, დაწვრილებით ესაუბრა ბაღის ნარგავებზე. მიხეილ მამულაშვილმა თქვა, რომ მისთვის სასიამოვნოა დოქტორ ზაქირ ჰუსეინის გაცნობა, რომელიც დეკორატიული მებაღეობის კარგი მცოდნე ყოფილა.

— დიდი სიამოვნებაა მომანიჭა იმან, უპასუხა დოქტორმა ზაქირ ჰუსეინმა, რომ დავთვალიერე თქვენი ბაღი, შევხვდი თქვენისთანა ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნეთ ამ შესანიშნავ საქმეს, რათა სიხარული მიგვანიჭებინათ ადამიანებისათვის. გამოშშვიდობებისას პრეზიდენტმა და მამულაშვილმა სურათი გადაიღეს. შემდეგ დოქტორი ზაქირ ჰუსეინი და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. პრორექტორმა ა. ნ. კაზმე ეზო და მარტენის საამქროს მეორე მოქმედი.

2. ავითვისოთ და ავამუშაოთ დამატებითი საწმენდი გალები და დავამთავროთ დგან „900/750“-ის მილდამზადების მოსაპირკეთებელი ნაწილის რეკონსტრუქცია, რის საფუძველზეც 1968 წლის დამლევისათვის ავითვისოთ აგრეგატის საპროექტო სიმძლავრე.

3. დავამთავროთ აგრეგატ „140“-ის კომპლექსური მექანიზაცია.

4. ავითვისოთ ნავთობისა და ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო მილების თერმოდიფუზიული წესით ანტიკოროზიული ლითონდაფარვის საამქროს საპროექტო სიმძლავრე.

ამავე დროს კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს ღონისძიებანი ქარხნის შემდგომი განვითარებისათვის, სახელდობრ:

1. გააჩაღოს მშენებლობა ახალი საგლინავიო ფაბრიკისა, რომელიც საჭიროა ბრძმედების მუშაობის უზრუნველყოფისათვის 100-პროცენტიან დაფლუსულ აგლომერატზე, რაც მოგვცემს თუჯის გამოდნობის მატებას 125 პროცენტით.

2. გააჩაღოს მშენებლობა ეანგბადის ხადგურისა, რომელიც საჭიროა მეტალურგიული პროცესების ეანგბადით ინტენსიფიკაციისათვის იმ მიზნით, რომ თუჯისა და ფოლადის გამოდნობა გადიდდეს 25 პროცენტით.

3. განახორციელოს ფოლადის განუწყვეტელი ჩამოსხმის აგრეგატის რეკონსტრუქცია მილის ნამზადისათვის სხმული ბლუმების საწარმოებლად.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია საამქროების კოლექტივების მუშათა კრებებზე და ქარხნის მშრომელთა წარმომადგენლების საერთო კრებაზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲤᲠᲣᲘᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲨᲔᲘᲫᲜᲐ შ. ი. ფრუიძის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ა. ე. მელაძე (თავმჯდომარე), ვ. დ. ოოლობერიძე, ნ. ა.

ИДЕОЛОГИЯ ДА ЦХОВРЕБА

პარტიული პროპაგანდის საღეისო ამოცანა

ს.კპკ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იდეოლოგიური ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის უმწვავესი ფრონტია, რომ თვითეული პარტიული ორგანიზაცია თავის უპირველეს ამოცანას მასების იდეური აღზრდის მკვეთრად გაუმჯობესებაში უნდა ხედავდეს.

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლება, კადრების პოლიტიკური და თეორიული წრთობა იდეოლოგიური მუშაობის ქვაკუთხედია. კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პოლიტიკურ განათლებაში წარმატებას თუ წარუმატებლობას უწინარეს ყოვლისა პროპაგანდისტი განსაზღვრავს.

დასამალავი არ არის, რომ ზაფხულის თვეებში პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებით ზოგან თავს არ იწუხებენ. ეს სამუშაო ხშირად თითქმის სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიდება და დარჩენილ მცირე დროში კი ზერელედ და უხარისხოდ სრულდება. წელს კი ეს აღარ უნდა მოხდეს.

პროპაგანდისტთა კადრების პოლიტიკური განათლების ფართო ქსელის უზრუნველყოფის ამოცანა უნდა გადაწყდეს ინტელიგენციის შემკომდებით ძალთა მაქსიმალურად ზოზიდვის და ხელმძღვანელი კადრების პროპაგანდისტულ მუშაობაში უფრო აქტიურად ჩაბმის გზით. დღეს პოლიტიკური განათლებას ესაჭიროება პოლიტიკური ეკონომიისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კვალიფიციური ათასობით პროპაგანდისტი.

სამწუხაროდ, ამ მხრივ არსებული შესაძლებლობები ნახევრად გამოუყენებელია. პარტიულ პროპაგანდაში ნაკლებად ვიყენებთ უმაღლეს სკოლებს. საჭიროა აღვადგინოთ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტების უფროსი კურსის სტუდენტების, ასპირანტების და მეცნიერი მუშაკების პროპაგანდისტებად გამოყენების პრაქტიკა. არავისთვის სადავოს არ წარმოადგენს ის, რომ მოწინავე სტუდენტები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და ეკონომისტები კვალიფიციურად ასწავლიან საგნებს. ამავე დროს, პროპაგანდისტად მუშაობა კიდევ უფრო განამტკიცებს სტუდენტის ცოდნას.

საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისათვის შემოვიღოთ პარტიული პროპაგანდის მეთოდიკის კურსის სწავლება. ამ მიმართულებით პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო.

პროპაგანდისტულ მუშაობაში მაგალითი ხელმძღვანელმა კადრებმა უნდა აჩვენონ. ყველა სხვა ხელმძღვანელთაგან განსხვავებით პირველი სიტყვა ამ საქმეში პარტიულ მუშაკებს ეკუთვნით. ეს ღონისძიება ყველა სხვა მუშაკისათვის თვალსაჩინო მაგალითი იქნება. ამავე დროს იგი პოლიტიკურ განათლების სისტემას შესძენს მაღალკვალიფიციურ პროპაგანდისტთა მრავალრიცხოვან კადრებს.

როცა პროპაგანდისტს შევარჩევთ და მუშაობის ადგილს მივუჩენთ, იმ დღიდანვე უნდა დავიწყოთ ზრუნვა მისი ბაზა-მზადებისათვის, მეთოდური დახელოვნებისთვის. პროპაგანდისტი ყოველთვის უნდა გრძნობდეს უურადღებას, კეთილგანწყობას, მხარდაჭერას.

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გამოცოცხლდა მეთოდური მუშაობა. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის ყოველთვიურ კალენდარულ გეგმებში გათვალისწინებულია პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარები, კურსები, ლექციები და კონსულტაციები. გასულ სასწავლო წელს მოეწყო პროპაგანდისტთა ექვსი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. ერთიორად გაიზარდა მეთოდური მასალების და, საერთოდ, სასწავლო ლიტერატურის რაოდენობა. გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე ეურნალი „მეთოდური ბიულეტენი“, ბროშურები სერიიდან „პროპაგანდისტი“. დაინერგა პროპაგანდისტებთან მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის შეკრებები, სამეცნიერო სესიები, ეწყობა მეთოდური და თეორიული კონფერენციები.

კარგად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა პარტიის აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლებში, მახარაძის, თერჯოლის, სამტრედიის, თელავის და სხვა რაიონების პოლიტიკური განათლების კაბინეტებში. მაგალითად, თელავში მეთოდური საბჭო სისტემატურად ეგეგმავს და მართავს გამსვლელ სესიებს, პროპაგანდისტთა მეთოდურ და თეორიულ კონფერენციებს, კურსებსა და სემინარებს, მეთოდური საბჭოს აქტიური მონაწილეობით თითქმის მთლიანად გადაწყდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებისათვის პროპაგანდისტ-კონომისტების და ფილოსოფოსების მომზადების საკითხი.

მაგრამ ბევრგან მეთოდური მუშაობის დონე ჯერ კიდევ დაბალია. ზოგიერთ რაიონში პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა ამოიწურება პროგრამით გათვალისწინებულ თემებზე ლექციების ჩატარებით, მეთოდური საბჭოები ფორმალურად არსებობენ; ბევრ პოლიტსკოლასა თუ სემინარში მსმენელებს არა აქვთ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები.

რა ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი ახალი სასწავლო წლისათვის

პროპაგანდისტთა სწავლა-გადამზადების და მეთოდური დახელოვნების საქმეში?

უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდისტთა კადრების მომზადებას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებისათვის. პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები მოვალენი არიან — უზრუნველყონ პარტიული სწავლების საშუალო რგოლი პროპაგანდისტთა კადრებით. ახლა ჩვენ გვესაჭიროება რამდენიმე ათასი პროპაგანდისტი-ფილოსოფოსი და ეკონომისტი.

პოლიტეკონომიის პროპაგანდისტთა მომზადებამ ბევრგან კარგი შედეგი გამოიღო. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა განახორციელა პოლიტეკონომიის პროპაგანდისტთა გეგმაზომიერი მომზადება. თბილისში, გორში, ცხინვალში, ბათუმში, ტყიბულში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში მოეწყო სპეციალური დანიშნულების სემინარები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი კურსები სამუშაოდან განთავისუფლებით.

მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, პოლიტიკური ეკონომიის ზოგან ჯერ კიდევ ასწავლიან საგნის არმცოდნენი. პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში უნდა დაადგინონ, პოლიტიკური ეკონომიის რამდენი და რა კვალიფიკაციის სპეციალისტი ჰყავთ, რამდენი დასპირდებათ მომავალ სასწავლო წელს და უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში. ამის საფუძველზე ზუსტად უნდა გაირკვეს, რა გზით განხორციელდება მათი სწავლება და სპეციალიზაცია. კარგად უნდა მოვიფიქროთ, პროპაგანდისტთა სწავლების რომელ ფორმას მიეცეს უპირატესობა, როგორ დავნერგოთ პროპაგანდისტთა დაუსწრებელი სწავლების ესა თუ ის ფორმა, როგორ გამოვიყენოთ მუდმივმოქმედი სემინარები.

პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლს პოლიტეკონომიის პროპაგანდისტთა დასახმარებლად განზრახული აქვს კვლავაც ადგილებზე დაადგინოს საჭირო მეთოდური მასალები, მოაწყოს ტელეგადაცემები და გამოუშვას სპეციალური მეთოდური სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. ამოცანა ის არის, რომ საბოლოოდ უზრუნველყოთ სწავლების საშუალო რგოლი პოლიტეკონომიის მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტებით, რითაც მკვეთრად ავამაღლებთ პოლიტიკური ეკონომიის სწავლების იდეურ-თეორიულ დონეს.

მეორე, არანაკლებ რთული და გადაუდებელი ამოცანაა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებისათვის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პროპაგანდისტთა მომზადება. 1969 წლის იანვრიდან ფილოსოფია შეისწავლება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების დიდ ნაწილში. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევქმნათ პროპაგანდისტ-ფილოსოფოსთა სწავლება-გადამზადების ფართო ქსელი რესპუბლიკის ყოველ ქალაქსა და რაიონში. კარგად უნდა მოვიფიქროთ ამ პროფილის პროპაგანდისტთა მომზადების ფორმები ადგილობრივი შესაძლებლობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

მეხუთე თვეა მუშაობს პროპაგანდისტ-ფილოსოფოსთა გადასამზადებელი სკოლა თბილისში. ახლოვე სკოლები შეიქმნა თელავში, ზუგდიდში, გორში, ბათუმში და სხ. მაგრამ მათი მუშაობა დამაკმაყოფილებელი ვერ არის. თბილისში ეს სკოლა არასწორად დაკომპლექტდა, რის გამო არასაკმაოა მსმენელთა დაინტერესება ლექციათა-სემინარებით.

პროპაგანდისტ-ფილოსოფოსთა კადრების მომზადების პერსპექტიული დაგეგმვა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. ახლავე უნდა განვსაზღვროთ, ამ საგნის რამდენი პროპაგანდისტის გადამზადება იქნება საჭირო, დავადგინოთ მათი სწავლების ხანგრძლივობა, ფორმები, ადგილი, ვადები, იქ, სადაც კი არსებობს პროპაგანდისტ-ფილოსოფოსთა მომზადებისათვის სათანადო პირობები, ამხანაგები უნდა გავაერთიანოთ უახლოეს ზონაში შექმნილ კრებებში ანდა გამოვიყენოთ დედაქალაქის შესაბამისი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები.

მიზანშეწონილია რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში, სადაც უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები არსებობს, შეიქმნას პროპაგანდისტ-ფილოსოფოსთა ერთ ან ორწლიანი სკოლები, ყველა დანარჩენ რაიონში მოეწყოს 15-20-დღიანი კურსები წარმოებიდან განთავისუფლებით.

ზაფხულის პერიოდში გარკვეული უურადღება უნდა მიექცეს პარტიული სწავლების უმაღლეს ტიპს. ზოგადი პოლიტიკური განათლება გულისხმობს თეორიის შემსწავლელთა ცოდნის სპეციალიზაციას, რომელიც გამომდინარეობს მათი საწარმოო მუშაობის ხასიათიდან, მათი ინტერესებიდან მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეული პრობლემისადმი. ამისათვის საჭიროა შევადგინოთ პროგრამა, რამდენიმე წლით, რათა თავიდან ავიცილოთ კუსტარულობა თეორიული სემინარების მუშაობაში.

ყველა ამ საკითხს ესაჭიროება მეცნიერული შესწავლა. ეს კი ნიშნავს პოლიტიკური განათლების ქსელის მსმენელთა ცოდნის, სურვილისა და უნარის გათვალისწინებით დაკომპლექტებას, პროპაგანდისტთა სწავლების გონივრული ფორმების გამონახვასა და გამოყენებას, პროპაგანდისტების სპეციალიზაციას საგნების მიხედვით და ა. შ.

ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგან პარტიულ განათლებას უსისტემოდ, ინერციით ხელმძღვანელობენ, პერსპექტივას ვერ ხედავენ. საქმისადმი ზოგიერთი პოლიტგანათლების მუშაკის ასეთი დამოკიდებულება უყურადღებოდ რჩებათ პროპაგანდის განყოფილებებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ პოლიტიკური განათლების სახლებს, კაბინეტებს ავალებენ სალექციო საქმის ორგანიზაციას, სხვადასხვა თათბირზე ხალხის გამოძახებას, სანახობითს ღონისძიებებზე ბილეთების გავრცელებას. ეს მაშინ, როცა პარტიული კაბინეტის გამგე არც ტექნიკური თანამშრომელია და არც ქსელში შექმნილი სკოლებისა და სემინარების უბრალო რეგისტრატორი. იგი იდეოლოგიური ფრონტის პასუხისმგებელი მუშაკი, მეთოდისტი, კონსულტანტი და პროპაგანდისტია.

უკანასკნელ პერიოდში მრავალი ღონისძიება განხორციელდა პროპაგანდისტთა საპატიო შრომის მორალური წახალისებისათვის. ბევრი მათგანი დაჯილდოდა საკრთველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის სიგელებით. საპატიო წიგნში შეტანით, ფასიანი საჩუქრებით, უფასო ტურისტული საგზურებით. თბილისში, ტყიბულში, ჭიათურაში, ახაშაში, ლაგოდეხში, ახალციხეში, ლანჩხუთში, ადიგენში და რესპუბლიკის ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონში პროპაგანდისტთა მორალური წახალისების საინტერესო ფორმებს იყენებენ. ეს მოწმობს იმას, რომ დღითი დღე იზრდება პარტიული მზრუნველობა და ყურადღება პროპაგანდისტებისადმი.

**სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების, ტექნიკუმების, ტექნიკური სკოლების, ინჟინერ-ტექნიკოსთა ბიუროების, ინჟინერ-ეკონომისტთა ბიურო

საერთაშორისო ცხოვრება

სირიის განათლების მოღვაწენი საქართველოში

მესამე დღეა საქართველოში იმყოფება სირიის არაბთა რესპუბლიკის განათლების მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, რათა გაეცნოს სახალხო განათლების საქმეს ჩვენს ქვეყანაში. დელეგაციას მეთაურობს სირიის განათლების მინისტრი **სულეიმან ალ-ჰაშა.** დელეგაციის შემადგენლობაში არიან განათლების სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის დირექტორი აბდელ მაჯიდ ან-ნუსი, სირიელთა საზღვარგარეთ სწავლების დეპარტამენტის დირექტორი ზიად ტარაზი, პოლიტექნიკური სწავლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ალმად ქადირ აღა.

დელეგაციის წევრები ეწვიენენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმს, პროფტექნიკურ სასწავლებელს, რომელიც სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს ამზადებს სოფელ ხიდისთავში, და გორის რაიონის სოფელ ატენის სკოლა-ინტერნატს.

15 ივლისს დელეგაცია სირიის არაბთა რესპუბლიკის განათლების მინისტრის სულეიმან ალ-ჰაშის მეთაურობით მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, რომელმაც სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის სახალხო განათლების განვითარება, კულტურული მშენებლობა.

ვ. მ. სირაძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს გაცვლას ერთმანეთის უკეთ გაცნობისათვის, მეტი ურთიერთგაგებისა და ნდობისათვის, მოხარული ვართ, თქვა მან, ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ ჩვენს მეგობრებს.

სულეიმან ალ-ჰაშამ განაცხადა, მე და ჩემმა კოლეგებმა ვიცით, თუ რა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ქვეყანამ ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, განათლების ყველა დარგშიო. თქვენი გამოცდილება განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, გაბიჯებად მან. მოსკოვსა და თბილისში ყოფნის დროს ბევრი რამ სასარგებლო შევიძინეთ.

ვ. მ. სირაძემ წარმატებანი უსურვა დელეგაციის წევრებს მათს ქვეყანაში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. ნ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. თ. ჩიხლაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე დ. ი. ნიკურაძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე ი. ვ. ბეროზაშვილი, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი მ. მ. აგაზარიანი. (საქდესი).

ერთსულოვნების ვითარებაში

ვ. გომულკას გამოსვლა კოლონეთის გაერთიანებული მუშათა კარტიის ცკ-ის კლენუმზე

ვარშავა, 18 ივლისი. (საკდესი). კოლონეთის პრესის სააგენტოს გადასცა კოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. გომულკას სიტყვის შინაარსი, რომელიც წარმოთქვა კოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ კლენუმზე. გომულკამ აღნიშნა, რომ კოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობის თეზისების გამოქვეყნებით დაიწყება ყრილობისწინა დისკუსია პარტიაში და საზოგადოებრიობაში.

ყრილობისწინა დისკუსია, თქვა მან, გამოხატავს შინაპარტიულ დემოკრატიას ამ სიტყვის ფართო გაგებით, და მის ფარგლებში პარტიის ყოველ წევრს, ყოველ პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია გაავლენა მოახდინოს ყრილობის გადაწყვეტილებებზე და პარტიის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

პრობლემატიკა, რომელსაც თეზისები მოიცავენ, განაგრძო გომულკამ, შეეხება მთელ ხალხს. ეს გამომდინარეობს იმ ხელმძღვანელი როლიდან, რომელსაც პარტია ასრულებს ხალხის ცხოვრებაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენებლობაში.

დისკუსიაში მონაწილეობა შეუძლიათ აგრეთვე იმ სხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ხალხის ერთობის ფრონტის შემადგენლობაში შედიან, და ყველას, ვისაც სურს კონსტრუქციული პოზიციებიდან, თუნდაც კრიტიკულად, გამოთქვას აზრი გარკვეულ საკითხზე.

პლენუმის დისკუსიაში ცენტრალური ადგილი ეკავა იდეოლოგიურ საკითხებს. ეს საკითხები უნდა იყოს პირველი რიგში კრიტიკული განხილვის საგანი და მეორია, თქვა გომულკამ, რომ გამოსულნი სწორად მიუდგნენ პარტიის საქმიანობის ამ ძირითად პრობლემას.

ორატორმა აღნიშნა, რომ პოლონეთის რეაქციული წრეების პოზიციას ახასიათებს უაღრესად მტრული დამოკიდებულება სოციალიზმისადმი, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისადმი.

ჯერ კიდევ 1918 წელს, ესე იგი მაშინ, როცა მხოლოდ იქმნებოდა პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო, მისმა ხელმძღვანელმა რეაქციულმა ძალებმა სსრ კავშირისადმი სიძულვილის გამო დალუპვის გზაზე დააყენეს პოლონეთი.

ოკუპაციის პერიოდში პოლონეთის რეაქციისა და ლონდონის ემიგრაციის პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ, პროგრესული მოძრაობის მიმართ, კომუნისტების მიმართ კვლავ ისე მტრული იყო, როგორიც, შეიძლება ითქვას, არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

უეჭველია აგრეთვე, რომ ლონდონის ბანკის მომხრეთა ნაწილი არსებითად დღემდე ძველ პოზიციებზე დარჩა.

სახალხო ხელისუფლების 24 წლის პერიოდმა უდავოდ გაკვალა ახალი ტრადიციის კალაპოტი, ბევრი რამ შეარბილა, ბევრი რამ გამოასწორა, მეგობრულად განაწყო საბჭოთა ხალხისადმი პოლონელი ხალხის უდიდესი უმრავლესობა. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პოლონეთის დასავლეთის საზღვრების შეცვლამ, რასაც პირველ რიგში საბჭოთა კავშირს უნდა ვუმადლოდეთ. ჩვენს ხალხს შეუძლია ამის დაფასება.

ვ. გომულკამ განაცხადა, რომ ისტორიული წარსულისათვის ჯერ კიდევ ვერ დაუდწევია თავი იმპერიალიზაციის ზოგიერთ ჯგუფს, უწინარეს ყოვლისა ჰუმანტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლებს. მას ფესვები აქვს გადგმული თუ ცნობიერებაში არა, ქვეცნობიერებაში მაინც, და ხელს უშლის მათ დაადგნენ სწორ თვალსაზრისს.

ვ. გომულკა შეეხო სიონიზმის პრობლემას და თქვა, რომ პოლიტბიუროს ეს მოვლენა შეაფასა მიმდინარე წლის 19 მარტს, მაგრამ პრაქტიკულად ეს მოვლენა ყველგან სათანადოდ ვერ გაიგეს. იყო ბევრი გადახვევა, რაც კატეგორიულად უნდა დავგმოთ. მაგალითად, რევიზიონისტებს სიონისტების იარლიყი მიაკრეს.

სიონიზმის საკითხი უკვე საკმაოდ გამორკვეულია და საჭირო არ არის ამ საკითხის ისე ფართოდ განხილვა, როგორც დღემდე შვრებოდნენ. მსოფლიო სიონიზმის გარკვეული წრეები დაინტერესებული არიან, რომ მათზე ლაპარაკობდნენ. ისინი თავხედურად გვისხმიან თავს, ცდილობენ თითოეული სამსახურებრივი გადაადგილება წარმოადგინონ როგორც ებრაელთა დევნა.

ასეთ პირობებში გადავწყვეტეთ არ ვუპასუხოთ მსოფლიოს სიონიზმის ამ პროვოკაციებს, არ დავუთმოთ მათ ამდენი ადგილი, რადგან მთავარ საფრთხეს წარმოადგენს არა სიონიზმი, არამედ მთლიანად რეაქციული, რევიზიონისტული, კლერიკალური ძალები.

დასასრულ ვ. გომულკამ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმ ერთსულოვნების გამო, რომელიც კამათის მონაწილეებმა გამოიჩინეს თეზისებში ჩამოყალიბებული გენერალური დირექტივებისადმი. ასეთივე ერთსულოვნებაა პოლიტბიუროშიც, თქვა მან.

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

პანოი, 15 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები წარმატებით მოქმედებენ კუანგჩის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში.

11 ივლისს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა უეცრად მიიტანეს ერიში ამერიკელთა ჯარის რაზმზე, რომელიც № 9 ავტოსტრადით მიდიოდა ტანლამიდან ქალაქში. ერიშის შედეგად მოსპეს მოწინააღმდეგის 35 სამხედრო მოსამსახურე. 13 ივლისს განთავისუფლების ძალების მებრძოლებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკელთა საზღვაო ქვეითი ჯარის ასეული ქალაქს დასავლეთით მდებარე რაიონში.

მეგობრობის მიტინგები

„მეგობრობა", „ძმობა" — ეს სიტყვები გაისმა ახლა სსრ კავშირის ბევრ ქალაქში. მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 47-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგებზე, კრებებზე, საღამოებზე და ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის დეკადაზე.

ულან-უდე. ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების კრებაზე მოხსენება გააკეთა სკკპ ულან-უდეს საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. ვ. ანგაპოვმა. კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს.

ფრუნზე. ყირგიზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ს. ტაბიშალიევმა, მკერავმა დ. კოსურბაევამ, მეცნიერმა ზ. ტინალიევამ საერთო საქალაქო კრებაზე ილაპარაკეს მონღოლი მშრომელების დიდ წარმატებებზე, ჩვენი მოძმე ხალხების ურღვევ მეგობრობაზე.

მხოლოდ ფაქტები

☐ **ნიუ-იორკი. (საკდესი).** სამხრეთ კორეის მარიონეტული რეჟიმის თავდაცვის მინისტრმა ცოი ენ ხიმ სეულში გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა გაზარდოს სამხედრო-საჰაერო ბაზების რიცხვი სამხრეთ კორეაში. ამჟამად იქ ხუთი ამერიკული ბაზა და 220-მდე სამხედრო თვითმფრინავია. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, ამ პროგრამის განხორციელება შეერთებულ შტატებს 40 მილიონი დოლარი დაუჯდება.

☐ **კანი. (საკდესი).** ჰანოიში შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთან სოლიდარობის ვიეტნამის კომიტეტი, იუწყება გაზეთი „ნიან ზანი". ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში კომიტეტის თავმჯდომარემ ხოანგ მინ ზიამმა განაცხადა, რომ კომიტეტის საქმიანობის მიზანია „მეგობრული ურთიერთობის დამყარება ვიეტნამელ ხალხსა და ამერიკელ ხალხს შორის ვიეტნამის ომის შეწყვეტის მოთხოვნის გზით, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ერთმანეთის მხარდაჭერის გზით".

ასიგნებანი სიცრუისათვის

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბა ებანმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე დამატებით მოითხოვა 4 მილიონი ისრაელური გირვანქა. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იერუსალიმიდან იტყობინება, ებანმა ეს იმით დაასაბუთა, რომ საჰირო „საინფორმაციო საქმიანობის გაფართოება საერთაშორისო სფეროში".

საქდესის კომენტატორი ი. ტიმოსესი ამასთან დაკავშირებით წერს:

საზღვარგარეთ ისრაელის საინფორმაციო სამსახურის გაფართოებისათვის ახალ ასიგნებათა მოთხოვნა ასახავს ტელ-ავივის ხელმძღვანელი წრეების შეშფოთებას საზღვარგარეთ ისრაელის პრესტიჟის დაცემასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ კონსტრუქციული პოზიცია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა, რომელმაც წამოაყენა წინადადება ეტაპებად შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ხარო. გაზეთი „ალ გამეშმარი" დიდად წუხდა, გენერალმა „დიდი ზიანი მიაყენეო ისრაელის მთავრობის ყველა ცდას მსოფლიოსათვის განმარტა ისრაელის „ეშმარიტ პოზიცია".

ისრაელის „ეშმარიტ პოზიციას" განსაზღვრავს ფაქტები. ცეცხლის შეწყვეტის ხაზებზე დაძაბულობის გაძლიერება, იარაღის ჭარბონი, შანტაჟი და ზეგავლენა არაბულ სახელმწიფოებზე, რათა გათიშოს მათი ერთობა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მიმართ — ასეთია დღეს ისრაელის მხედრიონის არსენალი. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის რეაქციამ ცხადყო, რომ ისრაელის აგრესიულ პოლიტიკაზე მსჯელობენ არა „მშვიდობისმოყვარენ" განცხადებებით, რომლებსაც დრო და დრო აკეთებს ტელ-ავივი, არამედ ისრაელ ექსტრემისტთა საქმეებით.

გაითვალისწინა რა ისრაელის პრესტიჟის დაცემა, საგარეო საქმეთა მინისტრი ებანი ამას წინათ ეწვია პაიგას, სადაც გამართა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ისრაელის ელჩების თათბირი. როგორც პრესა წერს, თათბირის ძირითადი მიზანი იყო შეემუშავებინა ღონისძიებანი „არაბთა მშვიდობიანი შეტევის ნეიტრალიზაციისათვის".

საეჭვოა, რომ 4 მილიონმა გირვანქამ, რომელიც ებანმა მოითხოვა კაბინეტის სხდომაზე, შეაკოს ისრაელის მთავრობის პრომაგანდისტული დეფიციტი. ტელ-ავივის პოლიტიკა სიტყვითა და საქმით ფუშავს ისრაელის დიპლომატიისა და პროპაგანდის ცდებს უმანკო კრავად გამოიყვანონ ისრაელის აგრესიული არსი.

„დეესკალაცია" ამერიკულად

პანოი, 15 ივლისი. (საკდესი). პოლიტიკურ კომენტარში ვიეტნამის გაზეთი „ნიან ზანი" გადაჭრით აკრიტიკებს ამერიკის მხარის პოზიციას პარიზის ოფიციალურ საუბრებში. ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო ოფიციალური საუბრები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელს შორის, წერს გაზეთი.

საზოგადოებრივ აზრს იმედი ჰქონდა, რომ საუბრებს კარგი შედეგი მოჰყვებოდა. ჩვენმა მხარემ სერიოზულად დასვა საკითხი, რომელიც საჭიროა გადაჭრას, აგრეთვე შეიტანა მისი სწორად გადაჭრის წინადადება. ამერიკის მხარე, პირიქით, ცდილობს გვერდი აუაროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამართლიან მოთხოვნათა განხილვას და სულ უფრო აძლიერებს ომს ვიეტნამში. ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული „დეესკალაცია" სამომარი მოქმედების ასპარეზზე სინამდვილეში ომის გააფთრებული ესკალაციაა, აცხადებს „ნიან ზანი".

ბრძოლა და კაპიტალი

იტალია

რომი. იტალიის ყველა პროფკავშირული გაერთიანების მოწოდებით 48 საათის განმავლობაში მოაწყეს იტალიის პრესის მუშაკებმა. ბრძოლის ამ საშუალებას მათ მიმართეს მას შემდეგ, რაც გამომცემლებმა და საგენტოთა დირექტორებმა უარი თქვეს დაედოთ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მშრომელთა მოთხოვნები ხელფასის გადიდებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. გაფიცვის შედეგად მთელ იტალიაში შეწყდა გაზეთების გამოშვება.

ფაკისტანი

დაკ-ეს-სალამი. როგორც ლუსაკიდან იუწყებიან, ზამბიაში დამთავრდა რკინიგზელთა 4 დღის გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 5 ათასი კაცი.

რკინიგზელთა პროფკავშირის ხელმძღვანელმა ანანია შვანზამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ რკინიგზის კომპანიის ადმინისტრაცია დათანხმდა განიხილოს მუშათა მოთხოვნები ხელფასის გადიდებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ეკვადორი

გუაიაკილი. ეკვადორის ლოს-რიოსის პროვინციასა და სხვა პროვინციების ახლომდებარე რაიონებში გაფიცვა მოაწყეს ავტომანქანების მოფრენებმა, რომლებსაც ხილი გადაკვეთ. კერძოდ, ისინი მოითხოვდნენ გზების რემონტს და ხაგზაო ბაჟის გაუქმებას.

გაფიცვამ სერიოზული გავლენა მოახდინა ბანანის — ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტის გადაზიდვაზე.

იაპონიის მოსახლეობა

ტოკიო. 101.986 ათასი ადამიანი — ასეთი იყო იაპონიის მოსახლეობის რიცხვი მიმდინარე წლის 31 მარტისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ამომავალი მზის ქვეყნის მოსახლეობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 620 ათასით გაიზარდა.

ბერლინი, 15 ივლისი. (საკდესი). მუშათა მოძრაობის საკითხები და დასავლეთ გერმანიაში შექმნილი მდგომარეობა განიხილეს გუშინ როსტოკში, სადაც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ბერმან მატერნი შეხვდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა 80 წარმომადგენელს.

დასავლეთ გერმანიის მუშათა მოძრაობის წარმომადგენლებთან საუბარში გერმან მატერნმა ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად დასავლეთ გერმანიის მთელი პროგრესული ძალების უპირველესი ამოცანაა მათი გაერთიანება რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჰამბურგისა და ჰესენის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა პროფკავშირების, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და პარლამენტგარეშე ოპოზიციის ძალების მოქმედების ერთიანობა.

შეხვედრის მონაწილეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი სოციალ-დემოკრატთა მთელ რიგ მოთხოვნებს, რომ 1969 წელს ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში არ მისცენ ხმა იმ კანდიდატებს, რომლებიც ამჟამად დასავლეთ გერმანიის პარლამენტის დეპუტატები არიან და ხმა მისცეს ნაგანგებო კანონებს.

მშვიდობის კვირეული დამთავრდა

ბერლინი, 15 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. გორდიევი იუწყება: **გუშინ როსტოკში დამთავრდა ბალტიისპირეთის „მშვიდობის კვირეული".** იგი მიმდინარეობდა ლონუნგით „ბალტიის ზღვა მშვიდობის ზღვა უნდა იყოს". ამ საერთაშორისო ფორუმის დროს ბალტიისპირა ქვეყნებიდან, ნორვეგიიდან და ისლანდიიდან ჩამოსულმა 25 ათასზე მეტმა სტუმარმა განიხილა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემები, ახალი ომის თავიდან აცილების პრობლემები.

მშვიდობის იდეით იყო განსხვავებული ბალტიისპირა ქვეყნების, ნორვეგიისა და ისლანდიის მუშათა კონფერენცია, პარლამენტართა, კომუნალური დარგის მუშაკთა, იურისტთა, პედაგოგთა და სხვა პროფესიების წარმომადგენელთა შეხვედრები, სიმპოზიუმები და სემინარები, რომლებიც აქ გაიმართა.

ბალტიისპირეთის „მშვიდობის კვირეულისათვის" დამახასიათებელი იყო ის ფაქტი, რომ ამ ფორუმის მონაწილეებმა ცნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, როგორც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ევროპის უშიშროებისათვის ბრძოლაში. „მშვიდობის კვირეულის" ყველა ღონისძიებაში გაისმა მოთხოვნა, რომ ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და დამყარონ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ამას ცოტათი როდი შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ათასობით უცხოელი სტუმარი ფართოდ გეიცნო გერმანელ მშრომელთა რესპუბლიკის ცხოვრებასა და მის მიღწევებს სხვადასხვა დარგში. 120 ათასზე მეტმა კაცმა, რომელთა შორის იყო საზღვარგარეთის 220 დელეგაცია, დაათვალიერა ამ დღეებში როსტოკის ოლქის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

გულთბილად და გულითადად ხვდებოდნენ ყველგან გერმანელი მშრომელნი საბჭოთა დელეგაციის წევრებს, რომელსაც მეთაურობდა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ვოსი. ეს შეხვედრები მიმდინარეობდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მზარდი მეგობრობის სულისკვეთებით.

გერმანიის ომი ვიეტნამში

ფოტოეკრანი

● **მოსკოვის** მოდელების სალაბორატორიო სახლის მხატვრებმა საბჭოთა ქალიშვილებისა და ბაბუაკებისათვის — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებისათვის შექმნეს კოსტიუმების ნიმუშები.

ქალიშვილებს ეცნობათ ორი კოსტიუმი. ერთი სადა, რომლის ზედატანზეც არის ქარგულობა რუსულ ეროვნულ მოტივებზე. მეორე კოსტიუმი წელში გამოყვანილია და აქვს სამი ჯიბე. ორივე კოსტიუმი დამზადდება ლავსანნარევი ხელის ქსოვილისაგან.

ბაბუკებისათვის კოსტიუმს შეეერავენ ღია ნაცრისფერი ლავსანნარევი შალის ქსოვილისაგან.

კოსტიუმს თან ახლავს მოდური კეპი და ღია ფერის თავსაფარი.

სურათზე: ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალზე საბჭოთა დელეგაციის წევრთა კოსტიუმების ნიმუშები.

ფოტო
რ. ალფიმოვისა.
(ახალი ამბების სააგენტო)



● **ზემო** ვოლტა აფრიკის ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც 1960 წელს დაიდგა ახალი ცხოვრების გზას. აქ მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

სურათზე: (ქვემოთ მარცხნივ) რესპუბლიკის დედაქალაქის უაგადუგუს ბაზარი.

ფოტო ვ. კოროჩანცევისა
(საკდესის ფოტოქრონიკა)

● **სენეგალის** რესპუბლიკაში მნახველს, უწინარეს ყოვლისა, მისი ეგზოტიკა და ყოველდღიური ყოფის გამომხატველი სურათები იზიდავს. ასეთ „სამხატვრო სალონს" არცთუ იშვიათად შეხვდებით დაკარის ევროპულ კვარტალებში. თვითნასწავლ მხატვრებს თავიანთი ნამუშევრები გასაყიდად აქვთ გამოფენილი.

ფოტო თ. ტარასოვისა
(საკდესის ფოტოქრონიკა)

ბაგირულები სამეთაურო-საშტაბო ნვრთნა

სამხედრო-საზღვაო ნვრთნის „ჩრდილოეთის" რაიონში გრძელდება საბჭოთა კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოკავშირე ფლოტების სასწავლო საბრძოლო მოქმედება.

ნვრთნის მონაწილე ძალების მოქმედებას ახასიათებს დიდი აქტიურობა, შემოქმედებითი ინიციატივა საარდლობის დავალებათა შესრულებისას. მოკავშირე ფლოტების შტაბები და ძალები ცხადყოფენ კარგ ურთიერთგაგებასა და მჭიდრო ურთიერთმოქმედებას. ყოველდღიურად მკაფიოდ ვლინდება მოკავშირე ფლოტების სამხედრო მეზღვაურთა მტკიცე საბრძოლო მეგობრობა.

ნვრთნა გრძელდება.

ბრძოლა ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა და ეფექტურობის ამაღლებისათვის

ეკონომიკური ინფორმაციის ბიულეტენი

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ეკონომიკა

##

შავწყალას ვერცხლი

შავწყალა. ბზიფის ქედის მაღალ, ქარაფიან კლდეში აქვს სათავე აფხაზეთის ამ ყველაზე მოკლე მდინარეს, რომელიც ხუთმეტრიანი ვარდნილიდან გადმოქუხს. ერთხანს იგი სწრაფად გარბის კლდოვან გრუნტზე, შემდეგ კი სულას ანელებს და მშვიდად მიედინება თავაღწარმტაც ხეობაში.

შავწყალა ოდითვე განთქმული იყო კალმახით, აგრეთვე შავი ზღვის ორაგულით, რომელიც აქ ქვირითის დასაყრელად შედიოდა. მაგრამ კალმახის — მთის მდინარეთა ამ სამკაულისა და მშრომელთა სუფრის მშვენების — სასაქონლო წარმოებას აქ მხოლოდ სამი ათეული წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

საკალმახე მეურნეობა გაშლილია მდინარის მარჯვენა ნაპირას, ზღვის დონიდან ოდნავ ამაღლებულ ტერასაზე, რომლის სიგანე 150 მეტრს აღწევს. „წყალქვეშა ფერმები" მთელი წლის მანძილზე იძლევა სასაქონლო პროდუქციას. ეს კი შესაძლებელი გახდა ცისარტყელა კალმახის გაზრდის სრული ციკლის მოწყობის მეთხებით. ამისათვის მეურნეობას აქვს აუცილებელი საწარმოო ნაგებობანი — საღებე ტბორები, საინკუბაციო სალაბორატორო, ახალმოზარდთა სანაშენე და ა. შ.

კალმახის გაზრდის საწარმოო პროცესი უმთავრესად ემყარება სასუქებელ სისტემას (საკვების ნარჩენის ბაზაზე), რაც სასაქონლო თევზის გაზრდის პროცესის აჩქარებად მართვის, დასახული გეგმების შესრულების საშუალებას იძლევა.

ძირითადი ამოცანის — სასაქონლო კალმახის წარმოების გარდა მეურნეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით ზრდის თევზჩასასმელ მასალას ბუნებრივ წყალსატევებში გასაშვებად და სხვა მეურნეობებისათვის მისაყიდად. საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა (ქვირითის ჩაწყობიდან სასაქონლო კალმახის გაზრდამდე) ახლა თითქმის ორ წელს შეადგენს. მაგრამ მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები (წყლის თერმული რეჟიმის რეგულირება, ზრდის ბიოქიმიური სტიმულატორების გამოყენება და სხვ.) საშუალებას იძლევა საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა 20-22-დან 12-13 თვემდე შემოკლდეს.

კალმახის მოშენება ადვილი საქმე არ არის, მაგრამ მისი სწორი ორგანიზაციით და მტკიცე საკვები ბაზის შექმნით, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციით დანახარჯები უხვად ნაზღაურდება და მისახლეობა იღებს ახალი, მაღალხარისხოვანი თევზით მომარაგების მნიშვნელოვან წყაროს.

სსრ კავშირის ბუნებრივი ზონების მრავალფეროვნება განსაზღვრულ შესაძლებლობებს იძლევა მეკალმახეობის ფართოდ განვითარებისათვის. ამას მოწმობს ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი — შავწყალას საკალმახე მეურნეობის მუშაობის გამოცდილება.

ამ გამოცდილების გასაზიარებლად კი ბევრი ადამიანი მოისწრაფვის აქეთკენ. შინაურ სტუმრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აქ იყვნენ უცხოეთის მრავალი ქვეყნის და მათ შორის იაპონიის, შვეიცის, ლათინური ამერიკის თევზის მრეწველობის სპეციალისტები. აქვე მოეწყო რამდენიმე რეგიონული, საკავშირო და საერთაშორისო სემინარი. ამ ფორუმების მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ლექციების ციკლი, გაეცნენ შავწყალას მეურნეობაში კალმახის მოშენებისა და გაზრდის ტექნოლოგიას, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება.

საწარმოო-ექსპერიმენტულ მეურნეობაში მეცნიერული გამოკვლევები და ცდები წარმოებს როგორც მის მუშაკთა, ისე სსრ კავშირის სპეციალური ინსტიტუტების მეცნიერთა ძალებით. შავწყალელი მეკალმახეები სხვა მხრივაც ეხმარებიან თანამოსაქმეებს. მეორე წელია, რაც ისინი თბილისის ზღვას უგზავნიან ქვირითს კალმახის გასაყრელებლად. მათვე რუსის საკალმახე მეურნეობას მიჰყიდეს ასი ათასი ცალი ლიფსიტა.

მაშ ასე, ადრე შავწყალაზე ნაკლებცნობილი, მცირე მოცულობის თევზსაშენი მოკლე დროში გადაიქცა მსხვილ, თანამედროვე საწარმოო-ექსპერიმენტულ მეურნეობად. საკმარისია აღინიშნოს, რომ თუ 1958 წელს მეურნეობამ გამოუშვა მხოლოდ 60 ცენტნერი თევზი, უკვე 1965 წელს სასაქონლო კალმახის გამოშვებამ 350 ცენტნერი შეადგინა. ერთი წლის შემდეგ კი ეს ციფრი 550-მდე გაიზარდა. № 3 უბნის საკვებ პლოატაციოდ გადაცემა აქ კალმახის გამოშვებას ორი ათას ცენტნერამდე გაადიდებს. ამის თავდებია მეურნეობის ერთსულოვანი კოლექტივი, რომელსაც ნაყოფიერი მოქმედებითი მუშაობის ყველა პირობა აქვს შექმნილი. მეკალმახეები ცხოვრობენ მარადმწვანე მდინარეებში ჩაფლული მეურნეობის კარმიდამოზე ერთმანეთზე მიჯრით მდგომ 13 კოტეჯში.

მეურნეობის დირექტორმა დ. უბილავამ, რომელიც ამ თანამდებობაზე 1960 წლიდან მუშაობს, თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა, უნარიანმა სამეურნეო ხელმძღვანელმა. იგი თევზმომშენებელთა ბევრი ფორუმის მონაწილე ყოფილა, თავისი აზრი გაუზიარებია მეურნეობაში სტუმრად მყოფი მრავალი დელეგაციისათვის. შარშანწინ მოსკოვის გამომცემლობამ გამოსცა მისი სამფურცლიანი წიგნი „იქ, სადაც კალმახი დაფეფხობს", ხოლო შარშან დ. უბილავამ მეურნეობის მუშაობის გამოცდილებაზე მოუთხრო „სელსკაია ჟიზნის" მკითხველებს. ამას წინათ მეურნეობის დირექტორი გამოცდილების სასწავლად იყო ლენინგრადის ოლქის როშის საკალმახე საცდელ მეურნეობაში, საიდანაც ჩამოიტანა 600 ათასი ცალი ცოცხალი ქვირითი.

— წელს მეურნეობის არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი დავალება გვაქვს, — გვითხრა დირექტორმა.— ქვეყანას უნდა მივაწოდოთ 125 ტონა სასაქონლო კალმახი. გარდა ამისა, აუზებში უნდა შეგვრჩებოთ 4,5 მილიონი ცალი კალმახის ქვირითი შემდგომი ინკუბაციისათვის. გავზრდით ერთი წლის ასაკამდე ორ მილიონ ორასიათას კალმახს. ვიზრუნებთ აფხაზეთის დაუდეგარი მდინარეების თევზით გამდიდრებისათვის. ბზიფში, კოდორსა და შავწყალაში გავუშვებთ 400 ათას კალმახსა და ათი ათას ორაგულს.

მეურნეობის ოქრის ფონდია მისი ადამიანები. აი საკვებდამამზადებელი საამქროს მუშა ვ. აფშიცა — აქაური მთაბარის შვილი. ამ 35-36 წლის ბარმიზელმა ვაჟკაცმა, რომელსაც მეურნეობაში მუშაობის 12 წლის სტაჟი აქვს, ბეჯრდი შრომის წითელი დროშის ორდენით დაიმშვენა. როცა ლაპარაკი თევზებზე ჩამოვარდება, ვლადიმერს სახე უბრწყინავს. ეტყობა, უზომოდ უყვარს თავისი საქმე, მუდამ მოუსვენარი, მონავარდე კალმახები.

მესამე უბანში, რომ ეტყვიან, სასწაული ხდება: აქ ლიფსიტები სასაქონლო თევზად გადაიქცევიან. არსებული 48 ტბორიდან თვითეულს წლიურად 2-3 ტონა თევზის მოცემა შეუძლია. შარშან უბანს გეგმად 35 ტონა ჰქონდა, წელს კი 50 ტონა აქვს.

— როგორ ხართ პირობაზე? — ვკითხეთ ამ უბნის უფროს მეთევზეს ს. ბარქაიას.

— გაგვიჭირდება, თუ საკვებით მომარაგება არ გაუმჯობესდა, — გვეუბნება იგი. — ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა იქნება ზაფხულობით, ცუდად გვამარაგებენ საკვებით, უწინარეს ყოვლისა ელენთით.

პირდაპირ ფერცხლისწყლიაო, რომ ეტყვიან, ის არის მაია აგრბა — ლაბორატორიისა და სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი. უიქერი ამ მკვირცხლ, მოღიმარ ადამიანს და შენაგარი მას. ბიოგრაფია მოკლე აქვს: რვა წელია, რაც კალინინგრადის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ინსტიტუტი დაუმთავრია და პრაქტიკულ სამუშაოდ შავწყალას მეურნეობა აურჩევია. აქვე შესდგომია სადისერტაციო თემის მომზადებას. მასაც კარგი მუშაობის სიმბოლო — „საპატიო ნიშნის" ორდენი დაუმსახურებია.

— რას იტყვით თქვენი მუშაობის გეგმებზე? — ვეკითხებით მაიას.

— მართალია, ლაბორატორია ეს არის იწყებს მუშაობას, მაგრამ გეგმები დიდი გვაქვს. ჩვენი მოღვაწეობის შინაარსია თევზის გაზრდის ახალი ბიოტექნიკა.

შავწყალელ მეკალმახეებს აღაფრთოვანებთ მეურნეობის რეკონსტრუქციისა და გაფართოების პერსპექტივა. წელს ამ საქმეზე 440 ათასი მანეთია გამოყოფილი. მომავალ წელს კი ეს თანხა გაორკეცდება. მეურნეობაში უკვე დამთავრდა კეთილმოწყობილი გზის გაყვანა, მესამე უბნის მშენებლობა, მაცივრის აგება. აქ საბჭოთა კავშირში პირველად დაიდგმება ჰაერის ჟანგბადით წყლის გამამდიდრებელი მოწყობილობა. რასაც დიდი მნიშვნელობა ენენება მჭიდროდ დასახლებული არხებისათვის.

საკალმახე მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელების შემდეგ წყალსატევების საერთო ფართობი ოთხ ჰექტარს გადაამეტებს. ეს შავწყალელ მეკალმახეებს საშუალებას მისცემს ყოველწლიურად მიიღონ 2.000 ცენტნერი სასაქონლო თევზი. გარდა ამისა, ადგილობრივ მდინარეებში (შავწყალა, კოდორი და ბზიფი) გაუშვებენ ნახევარ მილიონ კალმახს. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს სპორტული თევზჭერის განვითარებას.

მეურნეობის კოლექტივის ზრუნვის საგანია ზღვის თევზის საგანძურის შევსება. ახლა აქ ამრავლებენ შავი ზღვის ორაგულს, ახდენენ შორეული აღმოსავლეთის „გორბუშის" (კუნძანი ორაგული) აკლიმატიზაციას. და აი შავმა ზღვამ უკვე მიიღო პირველი ექვსი მილიონი „ახალბინადარიც". მეურნეობის რეკონსტრუქციის განხორციელებით ზღვაში გასაშვებ სიცოცხლისუნარიან ორაგულთა რაოდენობა წლიურად 50 ათასს მიაღწევს. აქ „წყალქვეშა ფერმის" თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ 500 ცენტნერ კალმახს, მაშინ როცა მოწინავე საზღვაო ტბორეზი მეურნეობები 20-30 ცენტნერ კობრს იღებენ.

ასე შრომობს და ცხოვრობს შავწყალას საკალმახე მეურნეობის კოლექტივი.

გ. ზუკაკიშვილი,
ი. გოგეჩია.

შავწყალა, გუდაუთის რაიონი.

სურათებზე: ზემოთ — შავწყალას ხაკალმახე მეურნეობის ხედი; ქვემოთ — იხტიოლოგი მაია აგრბა თავის „ალზრდილებთან"; თევზის ჭერა მომხმარებლისათვის გასაგზავნად.

ფოტო ავტორებისა.



დამსახურებული გამარჯვება

„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 0:2 (0:1). მოსკოვი. 15 ივლისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ატა).

„ტორპედო" — კავაზაშვილი, ნეპომილუევი, კახომოვი, ივანეცი, ჩუმაკოვი, შუსტიკოვი, ლენიოვი (სავჩენკო), სტრელცოვი, ზალომოვი, ბერშკოვიჩი, ბაკისი; „დინამო" (თბილისი) — ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი (გიგაშელი), ხურცილავა, მეტრეველი, ვ. ნოდია (კუტიავაძე), მეცხი.

ეს იყო სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური, ამასთანავე მეტად საინტერესო მატჩი. ორივე გუნდი იბრძოდა შეუპოვრად. მათ მაყურებელს უჩვენეს ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთი.

დინამოელთა აღიარებული დაცვა ჩინებულად მოქმედებდა. ხუროცილავამ მთლიანად ჩაკეტა ტორპედოელთა მთავარი ბომბარდირი — სტრელცოვი, დანარჩენებს კი ადვილად გაუსწორდნენ თბილისელი მცველები. და არა მარტო გაუსწორდნენ, არამედ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ იერიშებშიც. სწორედ მცველთა წარმომადგენელმა ჭელიძემ დაახლოებით 35-40 მეტრიდან გაიტანა ძლიერად დარტყმული ბურთი.

მეორე ნახევარში ტორპედოელთა ცდას—წონასწორობა აღედგინათ, შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, 77-ე წუთზე მეტრეველმა ანგარიში გაადიდა. ერთი წუთის შემდეგ მსაჯმა დინამოელთა კართან პენალტი დანიშნა. ურტაყამს სტრელცოვი, მაგრამ ურუშაძემ ბრწყინვალედ მოიგერია ბურთი.

დინამოელებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს 2:0.

დუბლიორთა მატჩში წარმატება მასპინძლებს ხვდათ 4:2.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲙᲘᲕᲘᲡ კიევში სსრ კავშირის ჩემპიონი შეხვდა როსტოვის სკა-ს. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 4:0. ოთხივე ბურთი მეორე ნახევარში იქნა გატანილი **ᲛᲣᲜᲢᲘᲐᲜᲘᲡ, ᲡᲐᲒᲝᲡ** და **ᲮᲛᲔᲚᲜᲘᲪᲘᲡ (ორჯერ)** მიერ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „დინამოს" პაექრობა საკუთარ მოედანზე ჰქონდა დონეცკის „შახტიორთან". მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0. ორივე გოლის ავტორი იყო **ᲗᲕᲘᲗᲪᲔᲕᲘ.**

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ზენიტს" კიროვაბადის „დინამო" ეწვია. ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს — 2:1.

ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და ბაქოს „ნეფტჩის". გოლდები. მეტოქეებმა ოთხი ბურთი გაიტანეს: ფრე — 2:2. გოლების ავტორები იყვნენ — **ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘ, ᲑᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲣᲡᲢᲐᲤᲘᲜᲘ** და **ᲩᲣᲗᲘᲕᲘ.**

ᲑᲣᲨᲘᲜ კუბიშევში ერთმანეთს შეხვდნენ „კრილია სოვეტოვისა" და ერევნის „არარატს" გუნდები. **ᲛᲐᲢᲩᲘ** მოიგო „არარატმა" — 1:0.

უკანასკნელი ნუთების სინანული

ᲙᲘᲕᲘᲡ მატჩი ოდესაში „ჩერნომორეცის" წინააღმდეგ ქუთაისის ტორპედოელთათვის მეტად პასუხსაგები იყო. ვერ ვიტყვით, რომ გუნდი არ იბრძოდა იმისათვის, რომ თავი დაეღწია წარუმატებლობათა ჩიხისათვის, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის კარის აღება. 45 წუთში მეტოქეებს ბურთი არ გუტანიათ.

მეორე ნახევარში ტემპიანი ბრძოლა არ შენელებულა. მატჩი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ უკანასკნელ წუთებში მასპინძლებმა შეძლეს ბურთის გატანა და გიმარჯვეს ანგარიშით 1:0.ამ ერთადერთი გოლის ავტორი იყო **ᲑᲝᲯᲐᲢᲐᲕᲘ.**

ქუთაისელთა შემადგენლობაში იყვნენ — **ᲙᲕᲐᲡᲮᲘᲐᲕᲘ, ᲗᲕᲔᲠᲐᲕᲐ, ᲔᲑᲐᲚᲘᲫᲔ, ᲨᲔᲠᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲩᲮᲐᲘᲫᲔ, ᲐᲡᲘᲝᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲐᲠᲘᲐ, ᲡᲐᲯᲐᲜᲓᲔᲚᲘᲫᲔ, ᲕᲔᲯᲣᲐ, ᲮᲐᲯᲐᲚᲘᲐ, ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ.**

„ᲑᲐ" ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲖᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ᲙᲘᲕᲘᲡ გაიმართა „ბ" კლასის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

მესამე ზონა — სლავიანსკის „ეროვაი" — გურჯაანის „ალაზანი" 2:0, ნევინომისკის „ხიმიკი" — გორის „დილა" 2:2, ლენინგრადსკაიას „ეროვაი" — რუსთავის „მეტალურგი" 0:1.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲖᲝᲜᲐ — ლენინგრადის „გურია" — ქობულეთის „შუქურა" 3:0, თელავის „ნადიკვარი" — პიატიგორსკის „მაშუკი" 0:1, ჭიათურის „მაღაროელი" — ფოთის „კოლხეთი" 0:0, ცხინვალის „სპარტაკი" — ზუგდიდის „ენგური" 1:0, კიროვაკანის „ლორი" — სოხუმის „დინამო" 2:1.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

☐ **ᲙᲘᲕᲘᲡ** ვოლგოგრადში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ოსფსრ-ის ნაკრებსა და ბრაზილიის „პორტუგეზას" შორის. წარმატება საბჭოთა ფეხბურთელებს ხვდათ ანგარიშით 2:1.

☐ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** ზღვაზე დამთავრდა რესპუბლიკური ჩემპიონატი სათხილამურო საყელოსნო სპორტში. მონაწილეობდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის სპორტსმენები. გუნდურ ასპარეზობაში პირველი იყო თბილისის მეორე გუნდი.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

„დინამო" (კ.)	19	10	8	1	26-11	28
„სპარტაკი"	18	12	4	2	31-17	28
„დინამო" (თბ.)	18	8	8	2	18-5	24
„ლოკომოტივი"	18	8	7	3	21-10	23
„ტორპედო" (მ.)	18	7	7	4	30-19	21
„დინამო" (მნ.)	18	7	7	4	18-13	21
„ზენიტი"	18	6	9	3	18-17	21
ცსკა	18	7	6	5	19-14	20
„შახტიორი"	18	5	9	4	16-15	19
„ჩერნომორეცი"	18	5	8	5	19-23	18
„ნეფტჩი"	18	6	5	7	16-15	17
„ზარია"	19	5	7	7	11-22	17
„დინამო" (მ.)	19	5	6	8	20-22	16
„კრ. სოვეტოვი"	18	5	5	8	12-14	15
სკა	18	5	5	8	22-29	15
„პახტაკორი"	18	4	6	8	17-30	14
„კაირატი"	18	4	5	9	13-19	13
„არარატი"	18	4	5	9	13-20	13
„ტორპედო" (ქ.)	19	3	5	11	13-26	11
„დინამო" (კირ.)	18	2	6	10	8-20	10

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 16 ივლისისათვის

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — უფროსკლასელთათვის — „გისაუბროთ პროფესიაზე" (გადაცემა მეორე), 19.10 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „250 ათასი ტონა ყურძნისათვის", 19.30 — „117-ე სეზონი" — გადაცემა თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 21.10 — მხატვრული ფილმი „ხანმოკლე შეხვედრები", 22.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 23.10 — პროგრამა მეორე დღისათვის.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ 11-დან 00 ს. და 15 წუთამდე.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ანტიგონე (რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზში პრემიერა. დასაწყისი 8 ს.), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — შესანიშნავი სპექტაკლი (დასაწყისი 8 ს.).

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡᲐᲮᲚᲝ ᲢᲧᲔᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲑᲘᲜᲐᲓᲐᲠᲜᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ მოსკოვსახლო დაბინავდა 2.400 თეთრი კურდღელი, 50 შვილი, 200 სოფო, 200 ოროკი და გნოლეთერა, რამდენიმე ათეული ხალებიანი ირემი და მარალი.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოვიდნენ ისინი რუსეთის ცენტრში. სოფოები და ოროკები მოფრინდნენ ტომსკისა და ომსკის ოლქებიდან, გნოლეთერები — ნოვოსიბირსკიდან და ვოლგოგრადიდან, კურდღლები — ტიუმენისა და არხანგელსკის ოლქებიდან, შილები ირკუტსკის ოლქიდან და ზღვისპირეთიდან ჩამოსახლდნენ მოსკოვსახლო ტყეებში.

ნადირმა და ფრინველებმა გაიარეს კარანტინი და ახლა ეგულებიან მოსკოვის ტყეებს. მოსკოვის ოლქის სამონადირეო მეურნეობის მუშაკები დამატებით საკვებს აძლევენ ახალბინადართ. იქ, სადაც ისინი ბინადრობენ, აკრძალულია ნადირობა და სანადირო ძაღლების დაგდება.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

Ვ. ᲘᲢᲙᲘᲜᲘ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ Კ. Გ. ᲞᲐᲣᲡᲢᲝᲕᲡᲙᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 15 ივლისი. (საკდესი). გარდაიცვალა კონსტანტინე გიორგისძე პაუსტოვსკი — გამოჩენილი საბჭოთა მწერალი, სიტყვის შესანიშნავი ოსტატი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამეფების წევრი.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. ნარკვევი „მთიანი სოფლის ახალი ცხოვრება", 07.30 — საყვარელი მელოდიები, 08.30 — პოპულარული საოპერო მუსიკის კონცერტი, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.15 — კონცერტი-საუბარი „კომპოზიტორი „აროუთინიანი", 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „მოგითხრობთ თქვენს „თანატოლებზე", 12.45 — ნ. გუდიაშვილისა და ვ. კორტიდის საოპერეტო მუსიკა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ნ. რაკოვი. კამერული ნაწარმოებები, 14.00 — „შეიტი და ჩრდილი". ვ. ვაგნერის ბალეტის რადიოკომპოზიცია (მოსკოვი), 15.30 — მეგობრების ხმები". გადაცემა მომმე სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის „თქვენი თხოვნით, მეგობრებო", 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ვ. პერსელი. კამერული ნაწარმოებები, 18.30—რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — რუსული სიმღერები ე. შალიაპინის „შესრულებით, 19.00 — „როგორ ემსახურება მეზღვაურებს საქალაქთაშორისო ავტოტრანსპორტი? — რადიორეპორტაჟი მასალები, 19.15 — ა. კირეისელიძე. ნაწყვეტები ოპერა „ბერეზიდან", 19.00, — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ბეთსები ბალალაიკისათვის, 20.30 — რადიოლიტერნალი „ობიელინიბაქო-ერევანი". ტრანსლაცია ბაქოდან. 21.00 — „ძალისპირული", 21.15 — საუბარი „ქართული და რუსული თეატრების შემოქმედებითი ურთიერთობა", 21.50 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — სენ-სანსი. მეზუთე სიმფონიური კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორეროს" კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99.03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-16, საბჭოთა შრომენბლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03278 საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ

ᲒᲘᲜᲓᲝᲓᲐᲗ ᲒᲪᲝᲓᲜᲝᲓᲐᲗ ᲔᲡ?

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" რედაქციამ ამ უკანასკნელ ხანს უამრავი წერილი მიიღო მკითხველებისაგან. მათ აინტერესებთ — მავნებელია თუ არა სხივები, რომლებსაც ტელევიზორი გამოსცემს მოქმედების დროს. ამის თაობაზე ქვემოთ ვბეჭდავთ გაზეთ „ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲡᲐᲨᲘ" გამოქვეყნებულ მასალას.

☐

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ „ᲖᲐ ᲠᲣᲑᲘᲟᲝᲛ" ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲯᲝᲠᲜᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚ „ᲢᲐᲘᲛᲘᲓᲐᲚ" ᲒᲐᲓᲛᲝᲜᲔᲑᲘᲗᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ — ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ — „ᲜᲣ ᲓᲐᲡᲘᲡᲬᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲢᲘᲡᲛᲘᲗᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲛᲔᲑᲘᲗ! ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲓᲐᲜ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ". ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Თ. Გ. ᲙᲠᲝᲢᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ.

☐

ᲐᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Თ. Გ. ᲙᲠᲝᲢᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ. ᲐᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ.

— ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲖᲔ? — ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲘᲐᲡ.

— ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲐ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ.

ᲨᲐᲕᲬᲧᲐᲚᲔᲚ ᲛᲔᲙ